# ანა ვარდიაშვილი

მსახიობი ანა ვარდიაშვილი კარგადაც მღეროდა. იგი დუდუკებზე მომღერალი პირველი ქართველი ქალი იყო. ანას მამა, დიდუბის ეკლესიის მღვდელი დიმიტრი ვარდიაშვილი ჩეხი საოპერო მომღერლის იოსებ რატილის მიერ დაარსებული ქართული ხალხური სიმღერის ცნობილი გუნდის ერთ-ერთი წამყვანი სოლისტიც ყოფილა. მეტსახელად „კარუზოს" ეძახდნენ. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ მისთვის ანაფორის გახდა მოუთხოვიათ და დიმიტრის უარი განუცხადებია. ამ ამბავს გადაჰყოლია კიდეც – 1924 წელს, სხვა უამრავ მღვდელთან ერთად ისიც დაუხვრეტიათ.

როგორც მსახიობის ქალიშვილი ქეთევან ვარდიაშვილი წერს, ანა თბილისში, დიდუბეში დაბადებულა 1900 წელს. დედამისი, ოლიკო მანსვეტაშვილიც კარგად მღეროდაო. სამწუხაროდ, მალე გარდაცვლილა, ორწლინახევრისა ყოფილა ანა მხოლოდ. მამიდა ქეთო ზრდიდა თურმე დაობლებულ ანას, მისი გათხოვების შემდეგ კი ბებია ნანას (მამის დედა) ჩაუბარებია შვილიშვილზე მზრუნველობა.

ანა წარმოშობით ყვარლის რაიონიდან ყოფილა, სოფელ საბუედან (ეს სოფელი ადრე თელავის რაიონს ეკუთვნოდა). ვარდიაშვილებს თელავში სახლიც ჰქონიათ, სადაც ანას მეორე მამიდა თამრო ცხოვრობდა და გოგონა სკოლაშიც იქ შეუყვანიათ, წმინდა ნინოს სასწავლებელში. 9 წლისა საქანელადან გადმოვარდნილა და ხერხემალი დაუზიანებია. ორ წელიწადს ყირიმში მკურნალობდა და ამას სიმღერით გატაცებული გოგონასთვის ხელი შეუშლია მუსიკალური განათლების მიღებაში.

მსახიობის თელავში სწავლის წლებსა და მეგობრობას მხატვარ ელენე ახვლედიანთან ასე იხსენებს ანა ვარდიაშვილის ქალიშვილი ქეთევანი: „როდესაც დედა თელავის სკოლაში სწავლობდა, ის და ელენე ახვლედიანი ერთ მერხზე ისხდნენ. თურმე იმ პერიოდში ელენე ახვლედიანი მუსიკით ყოფილა გატაცებული, დედა კი არაჩვეულებრივად ხატავდა. ყველას ეგონა, ელენე ახვლედიანი დიდი მუსიკოსი გახდებოდა, დედაჩემი კი – მხატვარი, მაგრამ, ცხოვრებამ დაგვანახვა, რომ პირიქით მოხდა. მათ მთელი ცხოვრება წმინდა მეგობრობა აკავშირებდათ და როცა დედაჩემს უჭირდა, ელენე ყოველთვის გვერდში ედგა. კედელზე მაქვს ელენეს დახატული დედას პორტრეტი. ამ ნახატის ორიგინალი ხელოვნების მუზეუმშია. ელენემ ნახატის შესრულება საქართველოში დაიწყო, მაგრამ მალე პარიზში მოუხდა სასწავლებლად წასვლა და თან წაიღო. სწავლის პერიოდში ელენემ პარიზში პერსონალური გამოფენა მოაწყო და სხვა ექსპონატებთან ერთად ეს პორტრეტიც გამოფინა. გამოფენაზე ელენესთან ამერიკელი მილიონერი მისულა და ანას პორტრეტში საკმაოდ სოლიდური თანხა შეუთავაზებია, მაგრამ ელენეს უთქვამს, ჩემს მეგობარს შევპირდი და აუცილებლად სამშობლოში უნდა წავიღოო".

პირველი კონცერტი ანამ თელავში გამართა. ამ კონცერტის აფიშაც არის შემორჩენილი. ფანდურზე თუშურ შაირებს მღეროდა, აკომპანემენტს ელენე ახვლედიანი უწევდა. მათ გამოსვლას დიდი მოწონება დაუმსახურებია.

მოგვიანებით თბილისში ჩამოვიდა სწავლის გასაგრძელებლად, მაგრამ ამჯერად გათხოვებამ შეუშალა ხელი. გთავაზობთ ამონარიდს მსახიობის ქალიშვილის მოგონებიდან: „დედა თავის მომავალ მეუღლეს ქუთაისში, ძალიან რომანტიკულ გარემოში შეხვდა: რაღაც საზოგადოება ყოფილა, რომელიც, თურმე, ტუბერკულოზით დაავადებულებს საქველმოქმედო კონცერტებით ეხმარებოდა. ერთ-ერთ ასეთ საქველმოქმედო ღონისძიებაში მონაწილეობა მიუღია ელენე ახვლედიანს და გამოფენა გაუმართავს, დედა კი საორგანიზაციო საკითხების მოგვარებაში ეხმარებოდა. ამ გამოფენაზე მისულა მამაჩემი, ივანე ყიფიანი, რომელიც დიდი დიმიტრი ყიფიანის ოჯახიდან გახლდათ. ორგანიზატორები ყველა მომსვლელს გვირილას სჩუქნიდნენ, ერთ-ერთი გვირილა დედას მამასთვის მიუცია და აქედან დაიწყო მათი ურთიერთობა. თბილისში რომ დაბრუნდნენ, მალევე დაქორწინდნენ. ორივე გაკულაკებული ოჯახიდან იყო

და, ჯვარი რომ დაიწერეს, საქორწინო ბეჭდებიც კი არ გააჩნდათ. დიმიტრი მეტეხის ციხეში, პატრიარქ კალისტრატე ცინცაძესთან ერთად რომ იჯდა საკანში, პაპაჩემს უთქვამს, ჩემი შვილი რომ გათხოვდება, ჯვარი შენ უნდა დასწეროოო. ჯვარის დასაწერად დედაჩემი მისულა პატრიარქთან და გაუხსენებია ვინც იყო. კალისტრატე ცინცაძე, რასაკვირველია, უარს არ ეტყოდა. როდესაც პატრიარქს ხელისმომკიდეები მოუკითხავს, აღმოჩნდა, რომ არ ჰყავდათ. თურმე იქვე მეორე წყვილიც იწერდა ჯვარს და მათი ხელისმომკიდეები დაუყენა გვერდით. შემდეგ, ბეჭდებიც რომ არ ჰქონდათ, კალისტრატე ცინცაძეს აუღია ორი წმინდა სანთელი, ბეჭდის ფორმა მიუცია და მათთვის თითებზე გაუკეთებია“.

1928 წელს ანა ვარდიაშვილმა სწავლა განაგრძო თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის სტუდიაში, რომლის დამთავრების შემდეგ, სანდრო ახმეტელმა თეატრის დასში ჩარიცხა მსახიობად.

1930 წელს თეატრი მოსკოვში გაემგზავრა საგასტროლოდ. სანდრო ახმეტელი ამზადებდა მასობრივ სპექტაკლს ქართული ეპიზოდებით. მედუდუკეებიც მოუწვევია და სრულიად შემთხვევით, ანა ვარდიაშვილს უმღერია მათთან. ისე მოსწონებიათ, რომ საკონცერტო ნომრები მოუმზადებიათ ჯერ მოსკოვში, შემდეგ კიევშიც. ასე გახდა ანა ვარდიაშვილი დუდუკებზე მომღერალი პირველი ქალი. მეტიც, ანას მედუდუკეთა ანსამბლიც ჩამოუყალიბებია, რომელსაც „ახალგაზრდა მედუდუკეები“ ერქვა და როგორც მისი ქალიშვილი ამბობს, ქსოვრელს დედაჩემმა ასწავლა დუდუკზე დაკვრა, მან კი ანსამბლი შექმნა მეორე მსოფლიო ომის პერიოდშიო. სამწუხაროდ, ანა ვარდიაშვილის სიმღერებიდან მხოლოდ ათიოდე თუ შემორჩენილა. საინტერესოა ერთი ეპიზოდი მომღერალი ქალის ცხოვრებიდან: ერთხელ, პოეტ კარლო კალაძეს მისთვის ლექსი მიუტანია სათაურით „თამარ ქალის სიმღერა“ და უთხოვია, ამ ლექსზე მუსიკა დაწერეო. სულ მალე გაჩნდა ძალიან პოპულარული სიმღერა „ჩემი გმირი გიწოდე“, რომლის მუსიკაც ანას ეკუთვნოდა და პირველი შემსრულებელიც ის იყო.

ნიჭიერმა არტისტმა ცამეტი წელიწადის განმავლობაში ითამაშა შ. რუსთაველის სახელობის თეატრში და მრავალი სახასიათო როლი განასახიერა. მათ შორის აღსანიშნავია: პარტიზანი ქალი – გიორგი მდივნის პიესიდან „ალკაზარი“, გერმანელი მთარგმნელი – ნიკო შიუკაშვილის პიესიდან „სულელი“ და სხვა.

1939 წლიდან 1946 წლამდე ანა ვარდიაშვილი სახელმწიფო რადიოკომიტეტში მიიწვიეს მომღერლად. 1940-იან წლებში ატარებდა კონცერტებს ხაჩიკ ტალგაუკოვის მედუდუკეთა ანსამბლის თანხლებით, პარალელურად იყო ფილარმონიის სოლისტი. ამავე პერიოდში მიიწვიეს საქართველოს რადიოკომიტეტში, სადაც მღეროდა ქართულ ხალხურ სიმღერებსა და რომანსებს; 1941-1945 წლებში მუშაობდა თბილისის პიონერთა სასახლეში; მეორე მსოფლიო ომის პერიოდში მართავდა საშეფო კონცერტებს.1948 წლიდან მუშაობდა სიმღერის მასწავლებლად ქალაქ ქლუხორის ბავშვთა სახლში; 1949-1957 წლებში იყო თბილისის სხვადასხვა სკოლის მასწავლებელი. მის სასიმღერო რეპერტუარში შედიოდა ქართული ხალხური ხიმღერები: „იავნანა“, „არწივი“, „გუთნური“, „ციცინათელა“, „სალამი ჩიტუნებო“, „სიზმარი“, „მოხევის ქალო, თინაო“, „მშვენიერო, შენ გეტრფი“, „მუხამბაზი“ და სხვ.

1960 წელს ანა ვარდიაშვილს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული არტისტის წოდება. მსახიობი და მომღერალი გარდაიცვალა 1978 წლის 15 ოქტომბერს. დაკრძალულია საბურთალოს სასაფლაოზე.

## ლიტერატურა:

1. ქართული მუსიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი. თბილისი, 2015. გვ. 171

2. „თბილისელები“. 27/06/2011. კატო ჟღენტი. „როგორ დაწერა დუდუკებზე მომღერალმა პირველმა ქალმა, ანა ვარდიაშვილმა, ცნობილი სიმღერა – „ჩემი გმირი გიწოდე“.

# ანა ვარდიაშვილის პირადი საარქივო ფონდი

## ბიოგრაფიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

1. ანა ვარდიაშვილის შრომის წიგნაკი.
1939 წ. 24 იანვარი. ასლი. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 1 გვ.

2. საქრადიოკომიტეტის მიერ გაცემული მადლობის ბრძანება ანა ვარდიაშვილისადმი, მუსიკალური გადაცემების ხაზით კონცერტებში წარმატებული მონაწილეობის შესახებ.
1940 წ. 4 მარტი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: ცერცვაძე, ზაკალაშვილი. ბეჭედდასმული. 1 გვ.

3. ანა ვარდიაშვილის ავტობიოგრაფია.
1940 წ. 10 ოქტომბერი. ავტოგრაფი. მელანი. 1 გვ.

4. თბილისის მოზარდ მაყურებელთა სომხური თეატრის დირექტორის წერილი ანა ვარდიაშვილისადმი, მსახიობების – პოლოლიანისა და შახნაზარიანის საშეფო გამოსვლაში მონაწილეობის მიღების შესახებ.
1941 წ. 29 ოქტომბერი. ხელნაწერი. კალამი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

5. ანა ვარდიაშვილის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.
1947 წ. 21 მარტი. სტამბური. ავტოგრაფი. მელანი. 4 გვ.

6. შ. რუსთაველის სახელობის თეატრის მიერ გაცემული ცნობა ანა ვარდიაშვილისადმი, თეატრალური სტუდიის დამთავრების შესახებ.
1950 წ. 28 იანვარი. ხელნაწერი. ხელს აწერენ: აკაკი ვასაძე, დიმიტრი მჟავია, თამარ ბაქრაძე. ბეჭედდასმული. მელანი. 1 გვ.

7. ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსის მოადგილის შ. ბუაჩიძის ოფიციალური წერილი ანა ვარდიაშვილისადმი, ხელოვნების საქმეთა სამმართველოში მისვლასთან დაკავშირებით.
1951 წ. 7 თებერვალი. ბლანკი. ხელნაწერი. ხელს აწერს ხელოვნების საქმეთა სამმართველოს ინსპექტორი (გვარი არ იკითხება). მელანი. 1 გვ.

8. შ. რუსთაველის სახელობის თეატრის მიერ გაცემული ცნობა ანა ვარდიაშვილისადმი, მსახიობად მუშაობის შესახებ.
პირი: აკ. ხორავა, ჯინჭარაძე, გორგიძე.
1951 წ. 21 მარტი. ნაბეჭდი. ასლი. დამოწმებულია ნოტარიუსის მიერ. 2 ეგზ. 2 გვ.

9. საქართველოს სსრ შრომითი რეზერვების მთავარი სამმართველოს მიერ გაცემული ცნობა ანა ვარდიაშვილის ქლუხორის სპეციალურ სამოხელეო №16 სასწავლებელში სიმღერის მასწავლებლად მუშაობის შესახებ.
პირი: ბაღათურია
1951 წ. 27 მარტი. ქლუხორი. ნაბეჭდი. ასლი. დამოწმებულია ნოტარიუსის მიერ. რუსულ ენაზე. 2 გვ.

10. ანა ვარდიაშვილის პასპორტი.
1951 წ. 28 მარტი. თბილისი. ხელნაწერი. ბეჭედდასმული. მელანი. 1 გვ.

11. ქალაქ ქლუხორის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის მიერ გაცემული ცნობა ანა ვარდიაშვილისადმი, პიონერთა სახლის მხატვრული წრის ხელმძღვანელად მუშაობის შესახებ.
პირი: ე. გობეჯიშვილი, გლოველი.
1951 წ. 2 აპრილი. ნაბეჭდი. ასლი. დამოწმებულია ნოტარიუსის მიერ. 1 გვ.

12. საქართველოს სარეწაო კოოპერაციის კულტურის სახლის მიერ დადებული შრომითი ხელშეკრულება დირექტორ ს. მჟავანაძესა და ა. ვარდიაშვილს შორის.
1953 წ. 2 ნოემბერი. თბილისი. ნაბეჭდი. ასლი. 1 გვ.

13. საქართველოს სსრ შრომითი რეზერვების მთავარი სამმართველოს მიერ გაცემული ცნობა ანა ვარდიაშვილისადმი, კულტურის რესპუბლიკურ სახლში ხალხური ინსტრუმენტული ჯგუფის ხელმძღვანელად მუშაობის შესახებ.
1954 წ. 15 ივნისი. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელს აწერს დირექტორი ვ. ნოდია. ბეჭედდასმული. 1 გვ.

14. საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული შრომითი რეზერვების მთავარი სამმართველოს მიერ გაცემული ბრძანება კულტურის რესპუბლიკური სახლისადმი, ა. ვარდიაშვილის სამუშაოდან დათხოვნისა და თბილისის №11 სახელოსნო სასწავლებელში მივლინების შესახებ.
1954 წ. 31 აგვისტო. ნაბეჭდი. ხელს აწერს დირექტორი ვ. ნოდია. ბეჭედდასმული. 1 გვ.

15. საქართველოს კულტურის რესპუბლიკური სახლის მიერ გაცემული ცნობა ანა ვარდიაშვილისადმი, შრომითი რეზერვების №11 სახელოსნო სასწავლებელში ქართული ხალხური ინსტრუმენტული ჯგუფის ხელმძღვანელად მუშაობის შესახებ.
1954 წ. 23 ოქტომბერი. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელს აწერს დირექტორი ვ. ნოდია. ერთვის ასლი. ბეჭედდასმული. 2 გვ.

16. თბილისის კიროვის სახელობის რაიონის პირველი უბნის სასამართლოს გადაწყვეტილება ა. ვარდიაშვილის გვარის დადგენის შესახებ.
1954 წ. 3 დეკემბერი. ნაბეჭდი. სტამბური. ხელს აწერენ: მოსამართლე – ჭიჭინაძე, მდივანი – ასათიანი. ბეჭედდასმული. 1 გვ.

17. ანა ვარდიაშვილისა და ივანე ყიფიანის ქორწინების მოწმობა.
1955 წ. 10 დეკემბერი. ასლი. ნაბეჭდი. 1 გვ.

18. საქართველოს კულტურის სამინისტროს ხელოვნების საქმეთა სამმართველოს მიერ გაცემული ცნობა ანა ვარდიაშვილისადმი, შ. რუსთაველის სახელობის თეატრში მუშაობის შესახებ.
პირი: პ. კანდელაკი.
1956 წ. 4 სექტემბერი. ნაბეჭდი. ასლი. 2 ეგზ. 2 გვ.

19. საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ გაცემული ცნობა ანა ვარდიაშვილისადმი, 67-ე საშუალო სკოლაში სიმღერის მასწავლებლად მუშაობის შესახებ.
1959 წ. 9 სექტემბერი. შტამპი. ასლი. ნაბეჭდი. 1 ც.

20. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელი ანა ვარდიაშვილისადმი, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დარგში მიღწეული წარმატებისთვის.
პირი: გ. ძოწენიძე, ზ. გელდიაშვილი, თ. ელიზბარაშვილი.
1960 წ. 7 მარტი. ნაბეჭდი. ასლი. დამოწმებული ნოტარიუსის მიერ. 2 ეგზ. 4 გვ.

21. ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლის მიერ გაცემული დახასიათება ანა ვარდიაშვილისადმი.
1960 წ. 19 ოქტომბერი. თბილისი. ნაბეჭდი. ასლი. 2 გვ.

22. შ. რუსთაველის სახელობის თეატრის მიერ გაცემული ცნობა ანა ვარდიაშვილისადმი, მსახიობად მუშაობის შესახებ.
1967 წ. 7 აგვისტო. შტამპიანი ფურცელი. ხელს აწერენ: შ. რუსთაველის სახელობის თეატრის დირექტორის მოადგილე – ვ. გოგეშვილი, კადრების ინსპექტორი – ე. შახნაზაროვა. ბეჭედდასმული. 1 გვ.

23. ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის მიერ გაცემული ცნობა ანა ვარდიაშვილის საქართველოს რადიოკომიტეტში მუშაობის შესახებ.
პირი: ლევან ბაღდასაროვი, ხაჩიკ ტალგაუკოვი.
1974 წ. 24 სექტემბერი. ბლანკი. სტამბური. ნაბეჭდი. ხელს აწერს კადრების განყოფილების უფროსი გ. ცაბაძე. ბეჭედდასმული. 1 გვ.

24. ანა ვარდიაშვილის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.
უთარიღო. სტამბური. ავტოგრაფი. ბეჭედდასმული. მელანი. ახლავს ფოტო. 4 გვ.

25. ანა ვარდიაშვილის დახასიათება.
უთარიღო. ნაბეჭდი. ასლი. ხელს აწერს ქლუხორის რაიკომის აღმასკომის კულტ-საგანმანათლებლო მუშაობის განყოფილების გამგე ა. ჩაგელიშვილი. 1 გვ.

26. გ. ცაბაძის მიერ გაცემული ცნობა ანა ვარდიაშვილისადმი, საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტში მუშაობის შესახებ. აღნიშნულო ცნობა გაცემულია თეატრალურ საზოგადოებაში წარსადგენად.
უთარიღო. ნაბეჭდი. ხელს აწერს კადრების განყოფილების უფროსი გ. ცაბაძე. ასლი. 1 გვ.

27. შ. რუსთაველის სახელობის თეატრის მიერ გაცემული ადმინისტრაციული ხასიათის ბრძანებები ანა ვარდიაშვილისადმი.
პირი: ვერა ივანოვა, გ. ჩხირაძე, ლ. ვაჩნაძე, მ. სისაური, ს. ისაბეკოვი, კ. ბაქრაძე, კ. ლიუბიმოვა, ლ. მანუჩაროვა, ნ. ზიხი, ლ. რამიშვილი, ბ. კალმახელიძე, მ. ჯაჯანაშვილი, ალ. ქაცარავა, ე. მწარიშვილი, პ. მურღულია, აკ. ვასაძე.
უთარიღო. ნაბეჭდი. 2 გვ.

## შემოქმედებითი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

28. ანა ვარდიაშვილის ლექსი „მთაში“.
1922 წ. ავტოგრაფი. ლურჯი მელანი. 2 გვ.

29. ანა ვარდიაშვილის კონცერტებისა და გასტროლების განრიგი.
1940-1947 წწ. ავტოგრაფი. მელანი. აკინძული. 28 გვ.

30. ანა ვარდიაშვილის ჩანაწერები სოლფეჯიოში.
1952 წ. ავტოგრაფი. მელანი. 10 გვ.

31. ანა ვარდიაშვილის ჩანაწერი „ბედნიერო და-ძმავ“.
(ერთვის ლექსი „ექსპრომტად კოტეს და ფიფქიას“).
პირი: ვარინკა.
1965 წ. 1 ოქტომბერი. ავტოგრაფი. მელანი. 3 გვ.

32. ანა ვარდიაშვილის მიერ მიძღვნილი ლექსი „ნობათი“ ანა კალანდაძისადმი.
1968 წ. ნაბეჭდი. 2 გვ.

33. ანა ვარდიაშვილის ლექსი „დიდ ვაჟას“.
1969 წ. 31 მაისი. ნაბეჭდი. ავტოგრაფი. მწვანე მელანი. 6 გვ. 2 ეგზ.

34. ანა ვარდიაშვილის მიერ მიძღვნილი ლექსი „ვერ გიცანი“ ელენე ახვლედიანისადმი.
1969 წ. 31 ივლისი. ავტოგრაფი. მწვანე მელანი. 2 გვ.

35. ანა ვარდიაშვილის ლექსი „რიხტერი და ბეთჰოვენი“.
1970 წ. 15 თებერვალი. ნაბეჭდი. ავტოგრაფი. ლურჯი მელანი. ქართულ და რუსულ ენებზე (თარგმანი რუსულად ნინო ყაზახაშვილის). 4 გვ.

36. ანა ვარდიაშვილის მიერ მიძღვნილი ლექსი „ვერ გიცანი“ ელენე ახვლედიანისადმი.
1973 წ. 8 თებერვალი. ავტოგრაფი. მწვანე მელანი. 3 გვ.

37. ანა ვარდიაშვილის სიტყვა თავის შემოქმედებით საღამოზე, ხელოვნების მუშაკთა სახლში.
1973 წ. 29 დეკემბერი. ავტოგრაფი. ლურჯი მელანი. 2 გვ.

38. ანა ვარდიაშვილის გამოსათხოვარი სიტყვა მეგობრის ელო ნაზარიშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით.
1974 წ. 26 მაისი. ავტოგრაფი. ლურჯი მელანი. 2 გვ.

39. ანა ვარდიაშვილის ლექსები საერთო სათაურით „ჩემო თბილისო“.
1974 წ. 20 ივნისი. ავტოგრაფი. მწვანე და ლურჯი მელანი. 4 გვ.

40. ანა ვარდიაშვილის ჩანაწერი „ელენე ახვლედიანს“.
1975 წ. 4 იანვარი. ავტოგრაფი. ლურჯი მელანი. 1 გვ.

41. ანა ვარდიაშვილის ჩანაწერი „პატარა განმარტება მიხეილ მამულიშვილზე“.
1977 წ. 29 ივნისი. თბილისი. ავტოგრაფი. ლურჯი მელანი. 2 გვ.

42. ანა ვარდიაშვილის გამოსვლის ტექსტი შრომითი რეზერვების მე-11 სამხატვრო სკოლაში.
პირი: ოთარ არჯევანიძე, თამაზ უზუნაშვილი, გ. ბარამიძე, ვ. ნეფარიძე, არეშიძე, სარქისოვი, კალანდაძე, ტოგონიძე, ჩიქობავა, ჩიხლაძე, სალუქაშვილი, ქოჩიაშვილი, სანიშვილი.
უთარიღო. ნაბეჭდი. 3 გვ.

43. ანა ვარდიაშვილის შთაბეჭდილებები ბავშვთა თვითშემოქმედების მე-7 რესპუბლიკური ოლიმპიადის შესახებ.
უთარიღო. ავტოგრაფი. ლურჯი მელანი. 10 გვ.

## მოგონებები

44. ანა ვარდიაშვილის მოგონება გალაკტიონზე.
1973 წ. 25 აგვისტო. ავტოგრაფი. ლურჯი მელანი. 8 გვ.

45. ანა ვარდიაშვილის მოგონება გოგლა ლეონიძეზე.
პირი: სანდრო ახმეტელი, ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, ნატო ვაჩნაძე, ემანუელ აფხაიძე, ნესტან ლეონიძე.
1974 წ. 16 თებერვალი. ავტოგრაფი. ლურჯი მელანი. 9 გვ.

46. ანა ვარდიაშვილის მოგონება წინაპრების, მშობლებისა და თავისი ბავშვობის შესახებ.
პირი: ისაკი, ანდრო, ნიკო, დიმიტრი (ტიტო), თამარი, სოფიო და ქეთევან ვარდიაშვილები, დავით და ალექსანდრე ჭავჭავაძეები, მიხეილ და მაკა ბერიაშვილები, ნანა მათიკაშვილი, იაკობ მათიკაშვილი, ოლღა მანსვეტაშვილი, ნიკო სულხანიშვილი, მიხა ავგაროზიშვილი, დედას ლევანა, ელენე ახვლედიანი, იოსებ გრიშაშვილი.
1978 წ. 15 ივლისი. ავტოგრაფი. შავი მელანი.. 61 გვ.

47. ანა ვარდიაშვილის მოგონება „იოსებ გრიშაშვილის მეორე ტომის თავგადასავალი".
უთარიღო. ნაბეჭდი. 1 გვ.

48. ანა ვარდიაშვილის მოგონება მამიდაზე – თამარ ვარდიაშვილზე („მამიდა თამროს მოწაფეები").
უთარიღო. ნაბეჭდი. 9 გვ.

49. ანა ვარდიაშვილის მოგონება მოსკოვში თეატრის გასტროლებისა და საკავშირო რადიოში მისი კონცერტის ჩაწერის შესახებ.
პირი: სანდრო ახმეტელი, ანდრია ვარდიაშვილი.
უთარიღო. ნაბეჭდი. 8 გვ. 2 ეგზ.

50. ანა ვარდიაშვილის მოგონება „და გამახსენდა". იგონებს თუ როგორ დაიწერა წაღვერში იოსებ გრიშაშვილის ლექსი „ციცინათელები თმებში".
პირი: იოსებ გრიშაშვილი, მიხეილ ჭიაურელი, ვერიკო ანჯაფარიძე, ვანო სარაჯიშვილი, თამარ შავერზაშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი, მერი ჭავჭავაძე, თინათინ თუმანიშვილი, ნინო ყაზახაშვილი, ალბერტ ალმა.
დაბეჭდილია გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში" 1968 წლის 19 მარტი.
უთარიღო. ხელნაწერი. ნაბეჭდი. ავტოგრაფი. ლურჯი და შავი მელანი. 9 გვ.

51. ანა ვარდიაშვილის მოგონება „შეხვედრა მაკო საფაროვა-აბაშიძესთან".
უთარიღო. ავტოგრაფი. ფანქარი. 4 გვ.

52. ანა ვარდიაშვილის ჩანაწერები, შვიდკაცას სია.
პირი: მალხაზ არავიაშვილი, ოთარ ლომიძე, ნუგზარ ბუაჩიძე, ზურაბ არუთინოვი, გივი აღაპიშვილი, კოტე სოკოლოვი, თემურ ფარზალაევი, ალექსანდრე კოჭლავაშვილი, ნადირაძე.
უთარიღო. ავტოგრაფი. შავი მელანი. 3 გვ.

# ეპისტოლარული მემკვიდრეობა

53. ლუბა ჯიოევას (ანას მამიდაშვილი) პირადი ხასიათის წერილი ანა ვარდიაშვილისადმი.
პირი: ახვლედიანი
1922 წ. ავტოგრაფი. ხელნაწერი. მწვანე მელანი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

54. კატოს (გვარი მითითებული არ არის) მისალოცი წერილი ანა ვარდიაშვილისადმი, თელავში პირველი კონცერტის წარმატებით ჩატარების შესახებ.
პირი: ანიჩკა, ელო (გვარი მითითებული არ არის).
1927 წ. ავტოგრაფი. მელანი. 1 გვ.

55. ვანო ყიფიანის პირადი ხასიათის წერილი ანა ვარდიაშვილისადმი.
1929 წ. 10 მაისი. ავტოგრაფი. მელანი. 1 გვ.

56. ვანო ყიფიანის პირადი ხასიათის წერილი ანა ვარდიაშვილისადმი.
1929 წ. 23 ივნისი. სამტრედია. ავტოგრაფი. მელანი. 4 გვ.

57. ანა ვარდიაშვილის პირადი ხასიათის წერილი ვანო ყიფიანისადმი.
პირი: ელო (გვარი მითითებული არ არის).
1929 წ. 25 ივლისი. ავტოგრაფი. მელანი. დაზიანებული. 4 გვ.

58. ანა ვარდიაშვილის პირადი ხასიათის წერილის ვანო ყიფიანისადმი (ფრაგმენტი).
1929 წ. თელავი. ავტოგრაფი. მელანი. 2 გვ.

59. ანა ვარდიაშვილის პირადი ხასიათის წერილი ელენე ახვლედიანისადმი.
პირი: ქეთო ვარდიაშვილი.
1966 წ. 5 სექტემბერი. ავტოგრაფი. ტუში. 3 გვ.

60. ანა ვარდიაშვილის პირადი ხასიათის წერილი ელენე ახვლედიანისადმი.
პირი: მაყვალა მრევლიშვილი
1974 წლის ივლისი. ავტოგრაფი. ლურჯი მელანი. 3 გვ.

61. ანა ვარდიაშვილის მისალოცი წერილი ევგენი ხარაძისადმი.
1977 წ. 15 ნოემბერი. ავტოგრაფი. შავი მელანი. 3 გვ.

62. ანა ვარდიაშვილის პირადი ხასიათის წერილი ვანო ყიფიანისადმი.
პირი: საშა ახვლედიანი, ელისაბედ გიორგის ასული (გვარი მითითებული არ არის), ქეთო (ანას მამიდა).
უთარიღო. ავტოგრაფი. არასრული. ფანქარი. 2 გვ.

63. ლიზიკო ჩხეიძის პირადი ხასიათის წერილი ანა ვარდიაშვილისადმი.
პირი: გოგი ვარდიაშვილი, ნინკა დადიანი, საშა არჯევანიძე, აკაკი ხორავა, აკაკი ვასაძე, ელენე ახვლედიანი, ნიჟარაძე, მარუსია, მარგო, ვანიჩკა, მარო, მიშა (გვარები მითითებული არ არის).
1940 წ. 5 აგვისტო. ავტოგრაფი. ქართულ და რუსულ ენებზე. 4 გვ.

64. ლიზიკო ჩხეიძის წერილი ანა ვარდიაშვილისადმი, მარო თარხნიშვილისა და ხაჩიკ ტალგოუკოვის კონცერტის შესახებ.

პირი: შარაბიძე, საიათნოვა, სუკიასოვი.
1940 წ. მოსკოვი. ავტოგრაფი. ფანქარი. ქართულ და რუსულ ენებზე. 2 გვ.

65. ელო ნაზარიშვილის პირადი ხასიათის წერილი ანა ვარდიაშვილისადმი.
პირი: ია, ვანია (გვარები მითითებული არ არის), ქეთო ლეისავა.
1940 წ. ავტოგრაფი. ხელს აწერს ელო ნაზარიშვილი. მელანი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

66. გიორგის პირადი ხასიათის წერილი ანა ვარდიაშვილისადმი
პირი: ნუნუ მაჭავარიანი, აკაკი ხორავა, ლიდა (გვარი მითითებული არ არის).
1941 წ. 14 ივნისი. ხელნაწერი. ლურჯი ფანქარი. 1 გვ.

67. ვასო შავერზაშვილის წერილი ანა ვარდიაშვილისადმი, ახალი ანსამბლის შექმნის შესახებ.
1941 წ. 13 ოქტომბერი. ავტოგრაფი. ფანქარი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

68. გრიგოლ (გრიშა) ქსოვრელის პირადი ხასიათის წერილი ანა ვარდიაშვილისადმი.
პირი: ხაჩიკ ტალგოუკოვი, ზურაბი, ლევანი (გვარები მითითებული არ არის).
1942 წ. 16 მაისი. მოსკოვი. ავტოგრაფი. ფანქარი. 1 გვ.

69. აკაკი ძიძიგურის წერილი ანა ვარდიაშვილისადმი, შემოქმედებითი ბიოგრაფიის გაგზავნასთან დაკავშირებით.
1943 წ. 18 თებერვალი. ავტოგრაფი. ტუში. 1 გვ.

70. მიხეილ მამულაშვილის ახალი წლის მისალოცი წერილი ანა ვარდიაშვილისადმი (წერილი გაფორმებულია გამხმარი ყვავილებით).
უთარიღო. მცხეთა. ავტოგრაფი. მელანი. 1 გვ.

71. მიხეილ მამულაშვილის ახალი წლის მისალოცი წერილი ანა ვარდიაშვილისადმი (წერილი გაფორმებულია გამხმარი ყვავილებით).
უთარიღო. მცხეთა. ავტოგრაფი. კალამი. 1 გვ.

72. მიხეილ მამულაშვილის მისალოცი ახალი წლის მისალოცი წერილი ანა ვარდიაშვილისადმი (წერილი გაფორმებულია გამხმარი ყვავილებით).
უთარიღო. ავტოგრაფი. კალამი. 1 გვ.

73. მიხეილ მამულაშვილის ახალი წლის მისალოცი წერილი ანა ვარდიაშვილისადმი.
(წერილი გაფორმებული გამხმარი ყვავილებით და ფოთლებით).
უთარიღო. ავტოგრაფი. კალამი. 1 გვ.

74. მიხეილ მამულაშვილის პირადი ხასიათის წერილი ანა ვარდიაშვილისადმი (წერილი გაფორმებულია გამხმარი ყვავილებით).
უთარიღო. ავტოგრაფი. კალამი. 1 გვ.

75. მიხეილ მამულაშვილის პირადი ხასიათის წერილი ანა ვარდიაშვილისადმი (წერილი გაფორმებულია გამხმარი ყვავილებით).
პირი: ვანო ყიფიანი, ქეთო ვარდიაშვილი
უთარიღო. ავტოგრაფი. კალამი. 2 გვ.

76. მიხეილ მამულაშვილის პირადი ხასიათის წერილი ანა ვარდიაშვილისადმი.
უთარიღო. ავტოგრაფი. კალამი. 2 გვ.

77. მიხეილ მამულაშვილის პირადი ხასიათის წერილი ანა ვარდიაშვილისადმი.
უთარიღო. მცხეთა. ავტოგრაფი. მელანი. არასრული. 3 გვ.

78. მიხეილ მამულაშვილის პირადი ხასიათის წერილი ანა ვარდიაშვილისადმი (წერილი გაფორმებულია გამხმარი ყვავილებითა და ფოთლებით).
პირი: პალიკო მამულაშვილი.
უთარიღო. მცხეთა. ავტოგრაფი. კალამი. 1 გვ.

79. მიხეილ მამულაშვილის პირადი ხასიათის წერილი ანა ვარდიაშვილისადმი.
პირი: ნინა ჭიაბრიშვილი.
უთარიღო. მცხეთა.ავტოგრაფი. კალამი. 1 გვ.

80. მიხეილ მამულაშვილის პირადი ხასიათის წერილი ანა ვარდიაშვილისადმი.
უთარიღო. ავტოგრაფი. მელანი. 1 გვ.

81. ელენე ჩერქეზიშვილის პირადი ხასიათის წერილი ანა ვარდიაშვილისადმი
პირი: აკაკი წერეთელი, მარგარიტა, კოლია (გვარები მითითებული არ არის).
1945 წ. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 3 გვ.

82. ვანო ყიფიანის წერილი ანა ვარდიაშვილისადმი, ავიაკატასტროფასთან დაკავშირებით (საუბარია თვითმფრინავზე, რომელიც კრასნოდარს გაცილებულა და სავარაუდოდ, ზღვაში ჩავარდნილა).
პირი: გოგი აბაშიძე, პავლე იმნაძე, შალვა (გვარი მითითებული არ არის).
1948 წ. 20 ოქტომბერი. ავტოგრაფი. ფანქარი. დაუსრულებელი. 2 გვ.

83. მიხეილ მამულაშვილის მისალოცი წერილი ანა ვარდიაშვილისადმი, ულოცავს ახალ წელს (წერილი გაფორმებულია გამხმარი ყვავილებითა და ფოთლებით).
1955 წ. მცხეთა. ავტოგრაფი. მელანი. 1 გვ.

84. მიხეილ მამულაშვილის პირადი ხასიათის წერილი ანა ვარდიაშვილისადმი (წერილი გაფორმებულია გამხმარი ყვავილებით).
პირი: ვანო ყიფიანი.
1955 წ. ავტოგრაფი. კალამი. 2 გვ.

85. მიხეილ მამულაშვილის ახალი წლის მისალოცი წერილი ანა ვარდიაშვილისადმი (წერილი გაფორმებულია გამხმარი ყვავილებით).
1956 წ. 29 დეკემბერი. მცხეთა. ავტოგრაფი. კალამი. 1 გვ.

86. მიხეილ მამულაშვილის ახალი წლის მისალოცი წერილი ანა ვარდიაშვილისადმი (წერილი გაფორმებულია ყვავილებით).
1957 წ. 3 იანვარი. მცხეთა. ავტოგრაფი. კალამი. 1 გვ.

87. მიხეილ მამულაშვილის ახალი წლის მისალოცი წერილი ანა ვარდიაშვილისადმი (წერილი გაფორმებულია გამხმარი ყვავილებით).
1959 წ. მცხეთა. ავტოგრაფი. კალამი. 1 გვ.

88. მიხეილ მამულაშვილის პირადი ხასიათის წერილი ანა ვარდიაშვილისადმი.
1960 წ. 22 ოქტომბერი. მცხეთა. ავტოგრაფი. მელანი. 2 გვ.

89. მიხეილ მამულაშვილის ახალი წლის მისალოცი წერილი ანა ვარდიაშვილისადმი (წერილი გაფორმებულია გამხმარი ყვავილებით).
1963 წ. 1 იანვარი. ავტოგრაფი. მელანი. 1 გვ.

90. ელიკო მამულაშვილის (მიხეილ მამულაშვილის ქალიშვილი) მისალოცი წერილი ანა ვარდიაშვილისადმი (წერილი გაფორმებულია გამხმარი ბალახითა და ყვავილებით).
1966 წ. 3 იანვარი. მცხეთა. ავტოგრაფი. კალამი. 1 გვ.

91. მიხეილ მამულაშვილის პირადი ხასიათის წერილი ანა ვარდიაშვილისადმი (წერილი გაფორმებულია გამხმარი ყვავილებითა და ფოთლებით).
1966 წ. მცხეთა. ავტოგრაფი. კალამი. 1 გვ.

92. მიხეილ მამულაშვილის ახალი წლის მისალოცი წერილი ანა ვარდიაშვილისადმი (წერილი გაფორმებულია გამხმარი ყვავილებითა და ფოთლებით).
1967 წ. მცხეთა. ავტოგრაფი. კალამი. 1 გვ.

93. მიხეილ მამულაშვილის პირადი ხასიათის წერილი ანა ვარდიაშვილისადმი (წერილი გაფორმებულია გამხმარი ყვავილებით).
პირი: ვანო ყიფიანი, ქეთო ვარდიაშვილი.
1968 წ. ავტოგრაფი. კალამი. 2 გვ.

94. ელენე ჩერქეზიშვილის პირადი ხასიათის წერილი ანა ვარდიაშვილისადმი.
პირი: მარგარიტა მუსხელიშვილი, ევგენი კირილოვიჩი (გვარი მითითებული არ არის).
1970 წ. 5 დეკემბერი. ნაბეჭდი. ხელს აწერს ელ. ჩერქეზიშვილი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

95. მიხეილ მამულაშვილის ახალი წლის მისალოცი წერილი ანა ვარდიაშვილისადმი (წერილი გაფორმებულია ყვავილებითა და ფოთლებით).
1973 წ. მცხეთა. ავტოგრაფი. კალამი. 1 გვ.

96. ელენე ჩერქეზიშვილის პირადი წერილი ანა ვარდიაშვილისადმი.
1974 წ. 19 ივნისი. ავტოგრაფი. ლურჯი მელანი. 2 გვ.

97. ანა ზურაბიშვილის (მამიდაშვილი) პირადი ხასიათის წერილი ანა ვარდიაშვილისადმი.
1974 წ. 11 ნოემბერი. ავტოგრაფი. ლურჯი მელანი. 2 გვ.

98. ელენე ჩერქეზიშვილის პირადი ხასიათის წერილი ანა ვარდიაშვილისადმი.
პირი: დები იშხნელები, ევგენი, ნინო (გვარები მითითებული არ არის).
1975 წ. 20 ივნისი. ავტოგრაფი. ლურჯი მელანი. 3 გვ.

99. ელენე ჩერქეზიშვილის პირადი ხასიათის წერილი ანა ვარდიაშვილისადმი.
(?). 31 იანვარი. ავტოგრაფი. ტუში. დაზიანებული. რუსულ ენაზე. 3 გვ.

100. ელენე ჩერქეზიშვილის წერილი ანა ვარდიაშვილისადმი, საკავშირო რადიოკომიტეტში მისი კონცერტის გადმოცემასთან დაკავშირებით მოთხოვნის გაგზავნის შესახებ.
(?). 28 ნომბერი. ავტოგრაფი. შავი მელანი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

101. ელენე ჩერქეზიშვილის პირადი ხასიათის წერილი ანა ვარდიაშვილისადმი.
პირი: მარგარიტა, გენო, მარინა, თიკო (გვარები მითითებული არ არის).
უთარიღო. ავტოგრაფი. შავი მელანი. ქართულ და რუსულ ენებზე. 4 გვ.

102. მიხეილ მამულაშვილის ახალი წლის მისალოცი წერილი ანა ვარდიაშვილისადმი (წერილი გაფორმებულია გამხმარი ყვავილებით).
უთარიღო. მცხეთა. ავტოგრაფი. მელანი. 1 გვ.

## პროგრამები

103. იოსებ გრიშაშვილის შემოქმედებითი საღამოს პროგრამა.
პირი: კოტე მაყაშვილი, გალაკტიონ ტაბიძე, ვასო აბაშიძე, ალექსანდრე წუწუნავა, თაგუნა, ს. აბაშელი, ივანე სარაჯიშვილი, ოლგა ბახუტაშვილი-შულგინა, შალვა დადიანი, ტასო აბაშიძე, ელისაბედ ჩერქეზიშვილი, ვალერიან გუნია, ზაქარია ფალიაშვილი, ნიკო გოცირიძე, სანდრო ყანჩელი, ცაცა ამირაჯიბი, ი. ელეფთერიძე, სანდრო ინაშვილი, ეკატერინე და მარო თარხნიშვილი, ი. მჭედლიშვილი, ლევან მეტრეველი, ნიკო ერისთავი, მარიჯანი (მარიამ ტყემალაძე-ალექსიძე), ცვარ-ნამი, დ. ლეჟავა, ო. აღასოვისა, ს. გოროდეცკი, ვ. რუხაძე, ივანე გომართელი, იოსებ გრიშაშვილი.
1919 წ. 24 მარტი. სტამბური. ავტოგრაფებით. დაზიანებული. 2 გვ.

104. დიმიტრი ვარდიაშვილის (ანა ვარდიაშვილის მამა) უბის წიგნაკი (ჩანაწერები რუსეთ-თურქეთის ომის შესახებ).
1914-1916 წწ. ავტოგრაფი. ფანქარი. ტუში. რუსულ ენაზე. 132 გვ.

105. სახალხო თეატრში გამართული ანა ვარდიაშვილის კონცერტის პროგრამა. მონაწილენი: ელენე ტერიშვილი, ნადეჟდა ორშაცკაია, ერასტი (გვარი მითითებული არ არის – ვიოლონჩელო), ლაზა-რევი, ლუკინსკი (გიტარა და ბალალაიკა), მაკ ბენესი (ამერიკული ცეკვა).
1927 წ. 18 დეკემბერი. სტამბური. 1 ც.

106. შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლ „განგაშის" პროგრამა.
1930-1931 წლების სეზონი, სტამბური. 1 ც.

107. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს პროფგანათლების მთავარი სამმართველოს სასწავლებლებისა და სკოლების მოსწავლეთა მხატვრული თვითშემოქმედების მე-11 რესპუბლიკური დათვალიერების პროგრამა.
1953 წ. 20-21 ივნისი. სტამბური. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც.

108. საქართველოს სსრ შრომითი რეზერვების სასწავლებლებისა და სკოლების მოსწავლეთა მხატვრული თვითშემოქმედების მე-12 რესპუბლიკური დათვალიერების პროგრამა.
1954 წ. 8-9 მაისი. სტამბური. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც.

109. საქართველოს კულტურის ცენტრალური სახლის დაარსების 10 წლისთავის აღსანიშნავი საღამოს პროგრამა.
1957 წ. 9 თებერვალი. თბილისი. სტამბური. 1 ც.

# ღია ბარათები

110. ლიზიკო ჩხეიძის ღია ბარათი ანა ვარდიაშვილისადმი, თელავში პირველი კონცერტის წარმატებით ჩატარებასთან დაკავშირებით.
პირი: ელო (გვარი მითითებული არ არის).
1927 წ. თელავი. ავტოგრაფი. მელანი. 1 ც.

111. ა. ციხისთავის მისალოცი ბარათი ანა ვარდიაშვილისადმი, მაისობასთან დაკავშირებით. ხელს აწერს ა. ციხისთავი
1958 წ. 5 მაისი. ავტოგრაფი. მელანი. 1 ც.

112. ა. ციხისთავის პირადი ხასიათის ღია ბარათი ანა ვარდიაშვილისადმი. ხელს აწერს ა. ციხისთავი.
პირი: ნინა (გვარი მითითებული არ არის).
1958 წ. 17 ივნისი. ავტოგრაფი. მელანი. 1 ც.

113. ალექსანდრე მამულაშვილის მისალოცი ღია ბარათი ანა ვარდიაშვილისადმი, ოქტომბრის რევოლუციის დღესასწაულთან დაკავშირებით.
1970 წ. 5 ნოემბერი. თბილისი. ავტოგრაფი. ლურჯი მელანი. 1 ც.

114. ანა კალანდაძის ახალი წლის მისალოცი ბარათი ანა ვარდიაშვილისადმი,
1970 წ. 26 დეკემბერი. თბილისი. ავტოგრაფი. კალამი. 1 ც.

115. მოსკოველი ექიმის ნინა ზნამენსკაიას ახალი წლის მისალოცი ღია ბარათი ანა ვარდიაშვილისადმი.
1972 წ. მოსკოვი. ავტოგრაფი. კალამი. რუსულ ენაზე. 1 ც.

116. მოსკოველი ექიმის ნინა ზნამენსკაიას პირველი და ცხრა მაისის მისალოცი ბარათი ანა ვარდიაშვილისადმი.
1973 წ. 1 მაისი. მოსკოვი. ავტოგრაფი. კალამი. რუსულ ენაზე. 1 ც.

117. მსახიობების: ლიზი ვაჩნაძის, თამარ ბაქრაძის, ნინო ლაფაჩის, ალექსანდრა თოიძის, რუსუდან ბერიძის, თამარ თუშიშვილისა და მერი ჯაჯანაშვილის ახალი წლის მისალოცი ბარათი ანა ვარდიაშვილისადმი.
1973 წ. 29 დეკემბერი. ხელნაწერი. ლურჯი მელანი. 1 ც.

118. ანა ზურაბიშვილის (მამიდაშვილის) ახალი წლის მისალოცი ბარათი ანა ვარდიაშვილისადმი.
1974 წ. 13 იანვარი. ავტოგრაფი. ლურჯი მელანი. 1 ც.

119. ანა ზურაბიშვილის პირადი ხასიათის ღია ბარათი ანა ვარდიაშვილისადმი.
1974 წ. 11 თებერვალი. ავტოგრაფი. ლურჯი მელანი. 1 ც.

120. ნინა ზნამენსკაიას პირადი ხასიათის ღია ბარათი ანა ვარდიაშვილისადმი.
უთარიღო. რიაზანი. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 1 ც.

121. ადონიკის, ლოლასა და შალვას (გვარები მითითებული არ არის) პირადი ხასიათის ღია ბარათი ანა ვარდიაშვილისადმი.
უთარიღო. ხელნაწერი. ლურჯი მელანი. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც.

## მოსაწვევი ბარათები

122. თბილისის 32-ე საშუალო სკოლის პიონერების მოსაწვევი ბარათი ანა ვარდიაშვილისადმი, საქართველოს ხელოვნების მუშაკებთან შეხვედრასთან დაკავშირებით.
1940 წ. 7 ივნისი. ნაბეჭდი. 1 ც.

123. საქართველოს მხატვრული თვითშემოქმედების რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტის მოსაწვევი ბარათი ანა ვარდიაშვილისადმი, ოლიმპიადის მონაწილეთათვის საპატიო სიგელის გადაცემასთან დაკავშირებით.
1950 წ. 7 ოქტომბერი. სტამბური. 1 ც.

124. ჩინეთის ახალგაზრდა დემოკრატიული კავშირის წევრების ქართველ ახალგაზრდობასთან შეხვედრის მოსაწვევი ბარათი.
1951 წ. 20 იანვარი. სტამბური. რუსულ ენაზე. 1 ც.

125. თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის მოსაწვევი ბარათი ანა ვარდიაშვილისადმი, დრამატული წრის წარმოდგენასთან („იავნანამ რა ჰქმნა?“) დაკავშირებით.
1951 წ. 16 მარტი. სტამბური. დაზიანებული. 1 ც.

126. კინოთეატრ „კომკავშირელის“ მოსაწვევი ბარათი ანა ვარდიაშვილისადმი, პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაკთა რესპუბლიკური კომიტეტის წევრთა შვილების გამოჩენილ მოღვაწეებთან შეხვედრასთან დაკავშირებით.
1951 წ. 2 დეკემბერი. სტამბური. დაზიანებული. 1 ც.

127. ხელოვნების მუშაკთა სახლის გამგეობისა და თბილისის მ. თოიძის სახელობის სამხატვრო სახელოსნოს მოსაწვევი ბარათი ანა ვარდიაშვილისადმი, სასწავლებლის სიმღერისა და ცეკვის თვითმოქმედი ანსამბლის გამოსვლასთან დაკავშირებით. ანსამბლის ხელმძღვანელი ვ. დვალი.
1953 წ. 10 ივნისი. სტამბური. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც.

128. საქართველოს კულტურის სამინისტროს პროფგანათლების სამმართველოსთან არსებული კულტურის რესპუბლიკური სახლის მოსაწვევი ბარათი ანა ვარდიაშვილისადმი, სასწავლო წლის დაწყებისადმი მიძღვნილ საქალაქო საღამოსთან დაკავშირებით.
1953 წ. 11 სექტემბერი. სტამბური. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც.

129. თბილისის რკინიგზის №2 სახელოსნო სასწავლებლის მოსაწვევი ბარათი ანა ვარდიაშვილისადმი, მოსწავლეების მოწინავე მუშაკებთან შეხვედრასთან დაკავშირებით.
1953 წ. 1 დეკემბერი. სტამბური. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც.

130. მომღერალ ანა ვარდიაშვილის შემოქმედებითი საღამოს მოსაწვევი ბარათი.
1953 წ. 12 დეკემბერი. 1 ც.

131. თბილისის ს. ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის საორგანიზაციო კომიტეტის მოსაწვევი ბარათი ანა ვარდიაშვილისადმი, შრომითი რეზერვების სასწავლებლისა და სკოლების მოსწავლეთა მხატვრული თვითშემოქმედების კოლექტივების XII დათვალიერებასთან დაკავშირებით.
1954 წ. 8-9 მაისი. სტამბური. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც.

132. ხელოვნების მუშაკთა სახლის გამგეობისა და მ. თოიძის სახელობის თბილისის სამხატვრო სახელოსნოს მოსაწვევი ბარათი ანა ვარდიაშვილისადმი, ვერიკო ანჯაფარიძის საღამოზე.
1954 წ. 17 მაისი. სტამბური. 1 ც.

133. ხელოვნების მუშაკთა სახლის გამგეობისა და მ. თოიძის სახელობის თბილისის სამხატვრო სახელოსნოს მოსაწვევი ბარათი ანა ვარდიაშვილისადმი, მწერალ ლეო ქიაჩელთან შეხვედრასთან დაკავშირებით.
1954 წ. 23 სექტემბერი. სტამბური. 1 ც.

134. თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის მოსაწვევი ბარათი ანა ვარდიაშვილისადმი, ვანო სარაჯიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ საღამოსთან დაკავშირებით.
1955 წ. 13 თებერვალი. სტამბური. 1 ც.

135. თბილისის კიროვის სახელობის რაიკომისა და რაიონის განათლების განყოფილების მოსაწვევი ბარათი ანა ვარდიაშვილისადმი, საშუალო სკოლების მოსწავლეთა მხატვრული თვითშემოქმედების დათვალიერებასთან დაკავშირებით.
1955 წ. 14-15 მარტი. სტამბური. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც.

136. თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ქართული კაბინეტის მოსაწვევი ბარათი ანა ვარდიაშვილისადმი, დიდი ქართველი მწერლის დავით გურამიშვილის დაბადებიდან 250 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო ლიტერატურულ საღამოზე დასასწრებად.
1955 წ. ნაბეჭდი. 1 ც.

137. თბილისის კიროვის რაიონის მოსწავლეთა მშობელთა კრების მოსაწვევი ბარათი ანა ვარდიაშვილისადმი.
1956 წ. 24 იანვარი. სტამბური. ქართულ და რუსულ ენებზე. დაზიანებული. 1 ც.

138. რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის ნუნუ მაჭავარიანის შემოქმედებითი საღამოს მოსაწვევი ბარათი.
1956 წ. 12 ნოემბერი. თბილისი. სტამბური. 1 ც.

139. მელანია ყარალაშვილის სასცენო მოღვაწეობის 30 წლისთავის აღსანიშნავი შემოქმედებითი საღამოს მოსაწვევი ბარათი.
1957 წ. 19 მაისი. სტამბური. 1 ც.

140. საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროსა და თბილისის 1-ლი საშუალო სკოლის მოსაწვევი ბარათი ანა ვარდიაშვილისადმი, ახალგაზრდობის მსოფლიო ფესტივალისადმი მიძღვნილ დილასთან დაკავშირებით.
1957 წ. 28 მაისი. სტამბური. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც.

141. თბილისის საქალაქო საბჭოსა აღმასკომის მოსაწვევი ბარათი ანა ვარდიაშვილისადმი, მოსწავლეთა საზეიმო საღამოსთან დაკავშირებით.
1957 წ. 2 სექტემბერი. სტამბური. ქართულ და რუსულ ენებზე. დაზიანებული. 1 ც.

142. თბილისის 1-ლი საშუალო სკოლისა და ზ. ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური მუსიკალური სკოლის მოსაწვევი ბარათი ანა ვარდიაშვილისადმი, მეგობრობის საღამოსთან დაკავშირებით.
1957 წ. 30 ნოემბერი. სტამბური. 1 ც.

143. მოსაწვევი ბარათი თბილისის კალინინის რაიონის საშუალო სკოლების პედაგოგებისთვის მოწყობილ დასვენების საღამოზე.
1958 წ. 10 იანვარი. სტამბური. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც.

144. თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის მოსაწვევი ბარათი ანა ვარდიაშვილისადმი, თბილისის 1500 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო საღამოსთან დაკავშირებით.
1958 წ. 15 ოქტომბერი. თბილისი. სტამბური. 1 ც.

145. თბილისის 1-ლი საშუალო სკოლის დირექციისა და მშობელთა პრეზიდიუმის მოსაწვევი ბარათი ანა ვარდიაშვილისადმი, გ. ჯიბლაძის მოხსენებაზე დასასწრებად.
1959 წ. 25 აპრილი. სტამბური. 1 ც.

146. თბილისის 47-ე საშუალო სკოლის ქართული ლიტერატურის წრის გამგეობის მოსაწვევი ბარათი ანა ვარდიაშვილისადმი, იოსებ გრიშაშვილის დაბადების 70 წლისთავისადმი მიძღვნილ ლიტერატურული საღამოზე დასაწრებად..
1959 წ. 19 სექტემბერი. სტამბური. 1 ც.

147. საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების საღამოს მოსაწვევი ბარათი ანა ვარდიაშვილისადმი.
1960 წ. 18 მარტი. სტამბური. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც.

148. თბილისის ძერჟინსკის სახელობის ბიბლიოთეკის მოსაწვევი ბარათი ანა ვარდიაშვილისადმი, აკაკი წერეთლის 120 წლისთავთან დაკავშირებით ჩატარებულ საღამოსთან დაკავშირებით.
1960 წ. 19 სექტემბერი. სტამბური. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც.

149. რესპუბლიკური საიუბილეო კომიტეტის მოსაწვევი ბარათი ანა ვარდიაშვილისადმი, აკაკი წერეთლის დაბადებიდან 120 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო საიუბილეო სხდომასთან დაკავშირებით.
1960 წ. 6 დეკემბერი. სტამბური. ქართულ და რუსულ ენებზე. დაზიანებული. 1 ც.

150. ანა ვარდიაშვილის მოსაწვევი ბარათი მიხაილ ლომონოსოვის დაბადების 250 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე დასასწრებად.
1961 წ. 20 ნოემბერი. სტამბური. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც.

151. ანა ვარდიაშვილის მოსაწვევი ბარათი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ნინო ნაკაშიძის 90 წლისთავის საიუბილეო საღამოზე დასაწრებად.
1962 წ. 29 იანვარი. სტამბური. 1 ც.

152. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის მოსაწვევი ბარათი ანა ვარდიაშვილისადმი, რუსული პოეზიის დეკადაზე დასასწრებად.
1962 წ. 16 ივნისი. სტამბური. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც.

153. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის მოსაწვევი ბარათი ანა ვარდიაშვილისადმი, უკრაინული ლიტერატურის დეკადის დასკვნით საღამოზე დასასწრებად.
1964 წ. 12 ნოემბერი. სტამბური. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც.

154. საქართველოს სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის რექტორატის მოსაწვევი ბარათი ანა ვარდიაშვილისადმი, სამსახიობო ფაკულტეტის IV კურსის მე-13 ჯგუფის სადიპლომო სპექტაკლზე დასასწრებად.
1967 წ. ნაბეჭდი. ხელნაწერი. 1 ც.

155. საქართველოს მუსიკალურ-ქორეოგრაფიული საზოგადოების ს. ორჯონიკიძის სახელობის რაიონული გამგეობის მოსაწვევი ბარათი ანა ვარდიაშვილისადმი, კომპოზიტორ ანდრია ბალანჩივაძის შემოქმედებით შეხვედრაზე დასასწრებად.
1970 წ. 18 მაისი. სტამბური. 1 ც.

156. თბილისის ბავშვთა მხატვრული აღზრდის სახლის მოსაწვევი ბარათი ანა ვარდიაშვილისადმი, ხელოვნების ნორჩ მოყვარულთა საქალაქო კლუბის საზეიმო გახსნაზე დასასწრებად.
1970 წ. 21 მაისი. სტამბური. 1 ც.

157. საქართველოს მხატვართა კავშირისა და სახელმწიფო სურათების გალერეის მოსაწვევი ბარათი ანა ვარდიაშვილისადმი, მხატვარ ნათელა იანქოშვილის ნაწარმოებთა პერსონალური გამოფენის გახსნაზე დასასწრებად.
1970 წ. 29 სექტემბერი. სტამბური. ქართულ და რუსულ ენაზე. 1 ც.

158. გ. ლეონიძის სახელობის საქართველოს ლიტერატურის მუზეუმის მოსაწვევი ბარათი ანა ვარდიაშვილისადმი, მურმან ლებანიძის საღამოზე დასასწრებად.
1973 წ. 12 მაისი. სტამბური. 1 ც.

159. საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სახლის მოსაწვევი ბარათი ანა ვარდიაშვილის შემოქმედებითი საღამოზე.
1973 წ. 29 დეკემბერი. სტამბური. 3 ც.

160. საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის მოსაწვევი ბარათი, IV ყრილობის მოწვევასთან დაკავშირებით.
უთარიღო. 21 დეკემბერი. სტამბური. 1 ც.

161. მასწავლებლის სახლის გამგეობის მოსაწვევი ბარათი ანა ვარდიაშვილისადმი, შიო ჩიტაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამოსთან დაკავშირებით.
უთარიღო. სტამბური. 1 ც.

162. მოსწავლეთა მხატვრული თვითშემოქმედების რესპუბლიკური კომიტეტის მოსაწვევი ბარათი ანა ვარდიაშვილისადმი, მე-7 ოლიმპიადაზე დასაწრებად.
უთარიღო. სტამბური. 1 ც.

163. თბილისის პიონერთა ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის მოსაწვევი ბარათი ანა ვარდიაშვილისადმი.
უთარიღო. სტამბური. 1 ც.

164. თელავის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკის მოსაწვევი ბარათი ანა ვარდიაშვილისადმი, ტრადიციულ დღესასწაულ „ილიაობაზე“ დასასწრებად.
უთარიღო. თელავი. სტამბური. 1 ც.

165. თბილისის საბავშვო ბაღების თანამშრომელთა მოსაწვევი ბარათი ანა ვარდიაშვილისადმი, საახალწლო ნაძვის ხის ზეიმზე დასასწრებად.
უთარიღო. ხელნაწერი. მელანი. 2 გვ.

166. ჟორა მეტონიძის ახალი წლის მისალოცი დეპეშა ანა ვარდიაშვილისადმი.
1949 წ. ქლუხორი. ხელნაწერი. ფანქარი. რუსულ ენაზე.

167. სიკო სეფაშვილის პირადი ხასიათის დეპეშა ანა ვარდიაშვილისადმი.
1957 წ. ყვარელი. ხელნაწერი. ფანქარი. 1 ც.

168. ანა ვარდიაშვილის სამძიმრის დეპეშა ძმიშვილებისადმი, მამიდა ქეთოს გარდაცვალებასთან დაკავშირებით.
1964 წ. დეკემბერი. ავტოგრაფი. კალამი. 1 გვ.

169. ანა ვარდიაშვილის მისალოცი დეპეშა ნინო ყაზახაშვილისადმი.
1968 წ. 22 მაისი. კალამი. ავტოგრაფი. 1 გვ.

170. ანა ვარდიაშვილის სამძიმრის დეპეშა კოტე და გუგული მახარაძეებისადმი, მათი დედის გარდაცვალების შესახებ.
უთარიღო. თბილისი. ავტოგრაფი. ლურჯი მელანი. 1 გვ.

171. ანა ვარდიაშვილის სამძიმრის დეპეშა ექიმ სავა პაპანდოპულოს ოჯახისადმი.
უთარიღო. ავტოგრაფი. ლურჯი მელანი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

172. ქეთო, ჟენია, რეზო, ირაკლი ლეჟავების, ნანა, ჟენია, აჩიკო და მელო ქაჩალაშვილის დეპეშები ანა ვარდიაშვილისადმი. მსახიობს ულოცავენ საქართველოს დამსახურებული არტისტის წოდების მინიჭებას.
უთარიღო. თბილისი. ქუთაისი. ნაბეჭდი. 3 ც.

173. ქეთინოსა და ვერას (გვარები მითითებული არ არის) პირადი ხასიათის დეპეშები ანა ვარდიაშვილისადმი.
უთარიღო. მოსკოვი. გუმათჰესი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 2 ც.

174. ნანასა და გივიკოს პირადი ხასიათის დეპეშა ანა ვარდიაშვილისადმი.
უთარიღო. სოხუმი. ფოტოდეპეშა. ხელნაწერი. 1 ც.

175. აკადემიკოს ავლიპ ზურაბაშვილის მისალოცი დეპეშა ანა ვარდიაშვილისადმი, შემოქმედებითი საღამოს წარმატებასთან დაკავშირებით.
უთარიღო. ნაბეჭდი. 1 გვ.

176. ლადო და ნინო გუდიაშვილების მისალოცი დეპეშა ანა ვარდიაშვილისადმი, შემოქმედებითი საღამოს ჩატარებასთან დაკავშირებით.
უთარიღო. ნაბეჭდი. 1 გვ.

## სხვადასხვა

177. იოსებ დავითაშვილის ლექსი „ჯეჯილი“ (იოსებ გრიშაშვილის მინაწერით „ანის, 1940 წ. 29. XII“)
1885 წ. ხელნაწერი. მელანი. წითელი ფანქარი. დაზიანებული. 1 გვ.

178. კავკასიის კაზაკთა დივიზიის მეთაურის პოლკოვნიკ ბელის მიერ გაცემული დახასიათება დეკანოზ დიმიტრი ვარდიაშვილისადმი (ანას მამა).
1917 წ. 15 მაისი. ნაბეჭდი. ხელნაწერი. მელანი. ქართულ და რუსულ ენებზე. რუსულიდან თარგმნა ა. ციხისთავმა. 3 გვ.

179. კავკასიის კაზაკთა დივიზიის მეთაურის, გენერალ-მაიორის ნალგიევის მიერ გაცემული დახასიათება, დეკანოზ დიმიტრი ვარდიაშვილის (ანას მამა) სახელზე.
1917 წ. 20 ივნისი. ნაბეჭდი. ხელნაწერი. მელანი. ქართულ და რუსულ ენებზე. რუსულიდან თარგმნა ა. ციხისთავმა. 6 გვ.

180. პოლკოვნიკ კრასნის მიერ გაცემული დახასიათება დეკანოზ დიმიტრი ვარდიაშვილისადმი.
1917 წ. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

181. უცნობი ავტორის მიერ მიძღვნილი ლექსები ანა ვარდიაშვილისადმი („ანიჩკას ყვავილებს“ და „საყვარელი ვარდი“).
1923 წ. 15 ივლისი. ხელნაწერი. შავი მელანი. 2 გვ.

182. გივი ყიფიანის (ანას მულიშვილი) პირადი ხასიათის ბარათები დედისადმი. ბარათები გამოგზავნილია ფოსტით.
1942 წ. 4 იანვარი. მურომი. გორკის ოლქი. ავტოგრაფი. ფანქარი. 2 ც.

183. გივი ყიფიანის (ანას მულიშვილი) პირადი ხასიათის წერილი დედისადმი.
1942 წ. 4 მაისი. ავტოგრაფი. ფანქარი. 1 გვ.

184. ნელი კალანდაძის ლექსი „ანა ვარდიაშვილს“.
1944 წ. 12 სექტემბერი. აბასთუმანი. ავტოგრაფი. მელანი. 2 გვ.

185. რ. ბოლოკაძის ლექსი „ანა ვარდიაშვილს“.
1944 წ. 12 სექტემბერი. აბასთუმანი. ნაბეჭდი. ავტოგრაფი. მელანი. 3 გვ.

186. ტ. კუზმინას წერილი ე. ყიფიანისადმი (ანას მული), აინტერესებს გივი ყიფიანის ამბავი.
1944 წ. 13 ნოემბერი. ქერჩი. ავტოგრაფი. მელანი. რუსულ ენაზე. დაზიანებული. 1 გვ.

187. ვიტალი ნეფარიძის ლექსი „ანა ვარდიაშვილს“.
1953 წ. 11 დეკემბერი. ავტოგრაფი. მელანი. 2 გვ.

188. ზურაბ გომურაშვილის ლექსი „ანას ვუმღერი“.
1953 წ. 11 დეკემბერი. ავტოგრაფი. მელანი. 3 გვ.

189. კინოთეატრ „ციცინათელას“ აბონემენტი.
1956 წ. სტამბური. 1 ც.

190. ამონაწერი წერილიდან ანა ვარდიაშვილის შესახებ.
1960 წ. 25 თებერვალი. სანტიაგო დე ჩილე. ხელნაწერი. შავი მელანი. 1 გვ.

191. ჯიმშერ მუჯირის „ხალხის საყვარელი მომღერლის გახსენება“ (ანა ვარდიაშვილის ხსოვნისადბმი).
უთარიღო. ნაბეჭდი. 3 გვ.

192. თამაზ ანთაძის „სიმღერის უკვდავება“ (ანა ვარდიაშვილის გარდაცვალების გამო).
უთარიღო. ნაბეჭდი. 1 გვ.

193. არჩილ ციხისთავის მოგონება „მომღერალი ტრიო – ვარდიაშვილების ოჯახი სოფელ საბუედან და რადიომომღერალი ანა ვარდიაშვილი“. იგონებს კახეთში მოგზაურობის დროს სოფელ საბუეში ვარდიაშვილების ოჯახში სტუმრობას.
პირი: დიმიტრი, ანა, სოფიო, ქეთო [ანა ვარდიაშვილის ოჯახის წევრები], დეკანოზი ისაკი, ფოფოდია, მღვდელი, ნიკო და ანა ვარდიაშვილები, იოსებ რატილი, ხაჩიკ ტალგაუკოვი, დემეტრაშვილი, შუღლიაშვილი, სომხიევი.
უთარიღო. ნაბეჭდი. ავტოგრაფი. მელანი. არასრული. 5 გვ. 2 ეგზ.

194. შოთა რუსთაველის აფორიზმები. პოეტ კატო მიქელაძის ხელნაწერი.
უთარიღო. ხელნაწერი. მელანი. 2 გვ.

195. სიმღერის ტექსტები ანა ვარდიაშვილის რეპერტუარიდან: ს. მთვარაძე – „ჩემო სამშობლო“, გ. აბაშელი – „შენ გენაცვალოს დედაო“, მარიჯანი – „მზითვის სარკე“, კარლო კალაძე – „თამარ ქალის სიმღერა“, ალეკო შენგელია – „წერილი მამას“, ო. ჩუბინიძე – „მიპასუხე, მითხარი“, იოსებ გრიშაშვილი – „ვეფხისტყაოსანი და ჭიაკოკონა“, შიო მღვიმელი – „ბეღურა“, აკაკი წერეთელი – „ციცინათელა“, „სულიკო“, იეთიმ გურჯი – „ანა-ბაჯი“, „ბაიათი“, ვაჟა-ფშაველა – „არწივი“, „სამეფოს სიმღერა“ ანუ „ერთხელ კოცნა“, იოსებ ნონეშვილი – „აკვანი“, აკაკი წერეთელი – „მშვენიერო, შენ გეტრფი“, „სალამი ჩიტუნებო“, ილია ჭავჭავაძე – „გუთნური“, ნ. ყარალაშვილი – „დიდება სამშობლოს“, ალექსანდრე გომიაშვილი – „მზე ჩვენი კომუნიზმია“, ანა ვარდიაშვილი – „მცირე დავალება“, ხალხური – „მოხევის ქალო“, „თუშური სიმღერა“, „სიმღერა ბელადზე“, „ახალი სოფელი“, „არაგვი“, „ივანანა“, „მეტყვიამფრქვევე“, „როდესაც გიცქერ“, „მე მიყვარხარ“.
უთარიღო. ნაბეჭდი. 32 გვ.

196. სიმღერების ტექსტები ანა ვარდიაშვილის რეპერტუარიდან: „პატარა კახი“, „მზე შინა და მზე გარეთა“, „ოჰ, მარგალიტავ!“, „ერთხელ ვიხილე“, „სადაც შენა ხარ“, „თბილისო“, „ყაყაჩო აყვავებულა“, „მეთევზის სიმღერა“, „მეტეხის ციხე“, „რად მინდოდა, შენც ახალად შემიხვდი“, „ჰაზირას ლექსი“, „მეთევზე პეპოს სიმღერა“, „სიზმრად ვნახე საიათნოვა“, „სატრფოს“, „შენი წითელი ჯვრები“, „ნენოს სიმღერა“, „სტალინს“, „მე ხომ ცოლი მოვიყვანე“, „მოხევის ქალო“, „შენ ჩემი ხარ, მე შენი“, „სიცოცხლეს სცვლიდი სიკვდილზე“, „გულიც სიმხნევით გაივსო“, „სტალინს“, „განშორებისა საათმა დაჰკრა“, „სიმღერა“, „ყარყუჭში (ასე ეძახდნენ ყაზბეგში სოფელ კარკუჩას. – რედ.) ჩამაიყვანეს“, „ლურჯა“.
უთარიღო. ა. ვარდიაშვილის ავტოგრაფი. მელანი. ფანქარი. 56 გვ.

197. ანა ვარდიაშვილის სიმღერები ქართველი პოეტების ლექსებზე: გიორგი ლეონიძე – „სიმღერა თარზე“, ვაჟა-ფშაველა – „ქალს“, ხალხური – „არსენა ჯორჯიაშვილი“, „საბოდიშო“, ილია ჭავჭავაძე – „გუთნური“, აკაკი წერეთელი – „სულიკო“, იოსებ ჯუღაშვილი – „დილა“, ხალხური – „მინდორში, ბალახ-ბულახში“, „შაშვი-კაკაბი“, „თუშის სიზმარი“, ს. მთვარაძე – „გმირი მფრინავის

ხსოვნას“, იეთიმ გურჯი – „სიყვარულის მგოსანი ვარ“, ანა კალანდაძე – „ჩემო კარგო“, გიორგი ჭალადიდელი – „მახსოვს პირველად“, დავით გივიშვილი – „ბაიათი“, ანა კალანდაძე – „ქარი გიმღერის ნანასა“, ხალხური – „ისევ შენ და ისევ შენ“, ილია ჭავჭავაძე – „ხმა გულისა“, ხალხური – „ყვავილების სიყვარული“, აკაკი წერეთელი – „სანამ ვიყავ ახალგაზრდა“, სანდრო შანშიაშვილი – „სალამური“, რაფიელ ერისთავი – „აბა მთვარევ, ჩემო მთვარევ“, გრიგოლ ორბელიანი – „მუხამბაზი“, დავით გივიშვილი – „მითხარ, მითხარ“, საიათნოვა – „არვის უარი არ უთქვამს“, გიორგი ლეონიძე – „შინმოუსვლელო, სადა ხარ?“, კარლო კალაძე – „თამარ ქალის სიმღერა“, გიორგი ლეონიძე – „დავით გურამიშვილს“, მურმან ლებანიძე – „ჩონგური და გამარჯვება“.
უთარიღო. ანა ვარდიაშვილის ავტოგრაფი. ფანქარი. მელანი. 61 გვ.

198. იოსებ გრიშაშვილის ფაქსიმილე.
უთარიღო. სტამბური. 1 ც.

199. დიმიტრი ვარდიაშვილის მოთხრობა „ქიტესა კეთებაშვილი“ (დაბეჭდილია ჟურნალ „მოამბეში“. 1905 წ. №№9, 11,12).
უთარიღო. ნაბეჭდი. აკინძული. 124 გვ.

200. იოსებ გრიშაშვილის რეცენზია დიმიტრი ვარდიაშვილის მოთხრობაზე „ქიტესა კეთებაშვილი“.
უთარიღო. ხელნაწერი. ნაბეჭდი. ლურჯი მელანი. 5 გვ. 2 ეგზ.

201. ნოტები „სიმღერა გმირულად დაღუპულ შალამბერიძეზე“. მუსიკა გრიგოლ კოკელაძის, ტექსტი რაჟდენ გვეტაძის.
უთარიღო. ხელნაწერი. მელანი. 8 გვ.